



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N1

ქ. ლანჩხუთი

20 ნოემბერი 2017 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: N61 ლანჩხუთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თამარ ბისიეშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური. საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მერიის აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი (საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი) მაკა სულაბერიძე და მედიის წარმომადგენლები.

საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად სხდომა გახსნა N61 ლანჩხუთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, **თამარ ბისიეშვილმა**. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ახალარჩეულ საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობას გაუწევდა უხუცესი დეპუტატი **ამირან ქანთარია**.

სხდომის თავმჯდომარემ, **ამირან ქანთარიამ** სხდომას გააცნო კანონით განსაზღვრული დღის წესრიგი:

1. N61-ე ლანჩხუთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოხსენება.

/მომხსენებელი: თ. ბისიეშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.
3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.
4. „2017 წლის 21 ოქტომბერს არჩეული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.
5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.
6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.
7. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების დაფუძნების ცნობად მიღების თაობაზე.
8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.
9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.
10. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.
11. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.
12. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ, ამირან ქანთარია თხოვნით მიმართა საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, (აპარატის უფროსი) ნინო ძიმიგურს დახმარება გაეწია პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით..

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მოხსენება გააკეთა N61 ლანჩხუთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, **თამარ ბისიეშვილმა**. მან საკრებულოს წევრებს მიულოცა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოთა არჩევნებში გამარჯვება და უსურვა შემდგომი წარმატებები. ასევე, მადლობა გადაუხადა 2014 წლის მოწვევის საკრებულოს გაწეული მუშაობისთვის.

N61 ლანჩხუთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, თამარ ბისიეშვილმა აღნიშნა, რომ 2017 წლის 21 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოთა არჩევნებში ამომრჩეველმა აირჩია მაჟორიტარული და პროპორციული სისტემით 32 საკრებულოს წევრი, პირდაპირი წესით კი - მუნიციპალიტეტის მერი.

პროპორციული სისტემით მანდატები გადანაწილდა 4 საარჩევნო სუბიექტზე:

1. ორი მანდატი- „ბაქრაძე, უგულავა - ევროპული საქართველო“:
 1. ირაკლი მარშანიშვილი
 2. ამირან გიგინეიშვილი
2. ორი მანდატი - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“:
 1. კახაბერ ასკურავა
 2. იოსებ ჩხაიძე
3. ერთი მანდატი - „დავით თარხან - მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“:
 1. ლელა ჩახვაძე
4. ათი მანდატი - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“:
 1. ვლადიმერ ნანაძე
 2. რევაზ კვერენჩილაძე
 3. ვერიკო კვიციანი
 4. თორნიკე ტიკაძე
 5. ალექსანდრე მახათაძე
 6. ციცილო ჩხაიძე
 7. ბესიკ კუპრაძე
 8. ამირან ქანთარია
 9. ზაალ სანაძე
 10. კახა ბოლქვაძე

მაჟორიტარული სისტემით არჩეულ იქნა საკრებულოს 17 წევრი:

01.01 ქალაქის ადგ. მაჟორიტარული ოლქი - კარლო კვიციანიშვილი

- 01.02 ქალაქის ადგ. მაჟორიტარული ოლქი - გიორგი გვარჯალაძე
02. აკეთის თემი - გოგი მორჩილაძე
03. აცანის თემი - ემზარ თევდორაძე
04. გვიმზალაურის თემი - ცისანა ურუშაძე
05. ლესის თემი - ელისო ჭიჭინაძე
06. მამათის თემი - ოთარ პატიეშვილი
07. მაჩხვარეთის თემი - გოდერძი ქურიძე
08. ნიგვზიანის თემი - ბესიკ ტაბიძე
09. ნიგოთის თემი - ზაზა წულაძე
10. ნინოშვილის თემი - დავით ჩხარტიშვილი
11. სუფსის თემი - ზურაბ კუკულავა
12. ღრმაღელის თემი - კახა თევდორაძე
13. შუხუთის თემი - აკაკი იმნაიშვილი
14. ჩიბათის თემი - გიორგი ჩახვაძე
15. ჩოჩხათის თემი - რეზო კვაჭაძე
16. ჯურუყვეთის თემი - სპარტაკ კვაჭაძე

პირდაპირი წესით არჩეულია მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, თამარ ბისიეშვილმა წარმოადგინა არჩევნების შემაჯამებელი ოქმები (თან ერთვის).

N61 ლანჩხუთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თამარ ბისიეშვილის მოხსენება საკრებულოს სხდომამ მიიღო ცნობად.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: სხდომის თავმჯდომარემ, ამირან ქანთარია მიმართა დეპუტატებს დაესახელებინათ სამანდატო დროებითი კომისიის წევრობის კანდიდატები. დეპუტატმა ელისო ჭიჭინაძემ კომისიის წევრად დაასახელა დეპუტატი ცისანა ურუშაძე, დეპუტატმა გოგი მორჩილაძემ - დეპუტატი ლელა ჩახვაძე, დეპუტატმა აკაკი იმნაიშვილმა - დეპუტატი დავით ჩხარტიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ, ამირან ქანთარია კენჭი უყარა სამანდატო დროებითი კომისიის შემადგენლობის შესახებ განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი.

მომხრე 27 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 3 დეპუტატმა(ამირან გიგინეიშვილი, ირაკლი მარშანიშვილი, კახაბერ ასკურავა).

მიღებულ იქნა განკარგულება N81 (20.11.2017 წელი).

დღის წესრიგის მესამე საკითხზე: სხდომის თავმჯდომარემ, ამირან ქანთარიამ მიმართა დეპუტატებს დაესახელებინათ ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის წევრობის კანდიდატურები. დეპუტატმა კახაბერ ასკურავამ კომისიის წევრად დაასახელა დეპუტატი ვერიკო კვიციანი, დეპუტატმა გიორგი ჩახვამემ - დეპუტატი გიორგი გვარჯალაძე, დეპუტატმა ბესიკ ტაბიძემ - დეპუტატი აკაკი იმნაიშვილი, დეპუტატმა ელისო ჭიჭინაძემ - დეპუტატი ამირან გიგინეიშვილი.

საკრებულოს წევრმა, ამირან გიგინეიშვილმა განაცხადა, რომ აცილებას აძლევს საკუთარ კანდიდატურას და არ მონაწილეობს არჩევნებში, რადგან „ბაქრამე, უგულავა - ევროპული საქართველო“ თვლის, რომ ოთხი წლის მანძილზე მათ გუნდს ქონდა განსხვავებული პროგრამა, ხოლო ახლადარჩეული საკრებულო გაატარებს სხვა პროგრამას, ამიტომ შესაბამისად, ვერ მიიღებს მონაწილეობას ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის მუშაობაში.

დეპუტატმა, კახაბერ ასკურავამ აღნიშნა, რომ 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნები არ გამოხატავს როგორც საქართველოს ამომრჩევლის, ასევე მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ნებას. აქედან გამომდინარე, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ არ ღებულობს კენჭისყრაში მონაწილეობას.

სხდომის თავმჯდომარემ, ამირან ქანთარიამ კენჭი უყარა ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის შემადგენლობის შესახებ განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი.

მომხრე 27 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 3 დეპუტატმა (ამირან გიგინეიშვილი, ირაკლი მარშანიშვილი, კახაბერ ასკურავა).

მიღებულ იქნა განკარგულება N82 (20.11.2017 წელი).

სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომის გაგრძელების შემდეგ სამანდატო დროებითი კომისიის მიერ წარმოდგენილ იქნა ოქმი N1 (20.11.2017 წელი), რომლის თანახმად კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა - დეპუტატი ლელა ჩახვამე, მდივნად - დეპუტატი ცისანა ურუშაძე, წევრი - დეპუტატი დავით ჩხარტიშვილი.

ხმის დამთვლელმა დროებითმა კომისიამ წარმოადგინა ოქმი N1 (20.11.2017 წელი), რომლის თანახმად კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დეპუტატი ვერიკო კვიციანი, მდივნად - დეპუტატი გიორგი გვარჯალაძე, წევრი - აკაკი იმნაიშვილი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების ცნობასთან დაკავშირებით სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარემ, ლელა ჩახვაძემ N61 ლანჩხუთის საოლქო საარჩევნო კომისიის მასალებზე დაყრდნობით წარმოადგინა დასკვნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ, რომლის მიხედვით ცნობილ იქნა საკრებულოს 32 (ოცდათორმეტი) წევრის უფლებამოსილება. (დასკვნა თან ერთვის).

სხდომის თავმჯდომარემ, ამირან ქანთარიამ სამანდატო დროებითი კომისიის დასკვნის საფუძველზე კენჭი უყარა განკარგულების პროექტს საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი.

მომხრე 27 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 3 დეპუტატმა(ამირან გიგინეიშვილი, ირაკლი მარშანიშვილი, კახაბერ ასკურავა).

მიღებულ იქნა განკარგულება N83 (20.11.2017 წელი).

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე: სხდომის თავმჯდომარემ, ამირან ქანთარიამ მიმართა საკრებულოს წევრებს დაესახელებინათ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე კანდიდატები. საკრებულოს წევრებმა გიორგი ჩახვაძემ, დავით ჩხარტიშვილმა, ბესიკ კუპრაძემ და აკაკი იმნაიშვილმა პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს ადგილობრივი ორგანიზაციის სახელით დაასახელეს საკრებულოს წევრის, ბესიკ ტაბიძის კანდიდატურა.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად საკრებულოს წევრმა ბესიკ ტაბიძემ განაცხადა თანხმობა საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე კენჭისყრასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ, ამირან ქანთარიამ სხდომაზე გამოაცხადა შესვენება 10 წუთით.

სხდომის გაგრძელების შემდეგ ჩატარდა ფარული კენჭისყრა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დეპუტატ ბესიკ ტაბიძის კანდიდატურის არჩევასთან დაკავშირებით.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი.

ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანიამ სხდომას გააცნო ჩატარებული კენჭისყრის შედეგები (ოქმი N2 20.11.2017 წელი), რომლის თანახმად საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ბესიკ ტაბიძემ მიიღო 18 ხმა, წინააღმდეგი 8 დეპუტატი, 1 ბიულეტენი ცნობილ იქნა ბათილად, 3 დეპუტატმა(ამირან

გიგინეიშვილი, ირაკლი მარშანიშვილი, კახაბერ ასკურავა) არ მიიღო კენჭისყრაში მონაწილეობა.

მიღებულ იქნა განკარგულება N84 (20.11.2017 წელი).

საკრებულოს წევრებმა მიულოცეს დეპუტატ ბესიკ ტაბიძეს საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევა.

საკრებულოს თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ სხდომის თავმჯდომარეობა გააგრძელა **ბესიკ ტაბიძემ**. ის მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მუნიციპალიტეტის მერს, ალექსანდრე სარიშვილს. ასევე, მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს ნდობის გამოცხადებისთვის და იმედი გამოთქვა, რომ მომავალი 4 წლის განმავლობაში თავისი საქმიანობით დაამტკიცებს, რომ მათ სწორად და ღირსეულად მიცეს ხმა. მოსახლეობის მიერ მინიჭებული მანდატი არის უდიდესი ტვირთი და პასუხისმგებლობა თითოეული დეპუტატისთვის. ბესიკ ტაბიძე იქნება ის ადამიანი, ვინც კოლეგებთან და მუნიციპალიტეტის მერთან ერთად შეეცდება გააკეთოს ყველაფერი მოსახლეობის პრობლემების მოსაგვარებლად და მუნიციპალიტეტის საკეთილდღეოდ.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე - „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ“ საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად მას აქვს უფლება საკრებულოს შემადგენლობიდან დაასახელოს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურა. მან საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე კანდიდატად დაასახელა საკრებულოს წევრი ვლადიმერ ნანაძე.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად საკრებულოს წევრმა ვლადიმერ ნანაძემ განაცხადა თანხმობა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე კენჭისყრასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ, ამირან ქანთარია მ სხდომაზე გამოაცხადა შესვენება 10 წუთით.

სხდომის გაგრძელების შემდეგ ჩატარდა ფარული კენჭისყრა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე საკრებულოს წევრის, ვლადიმერ ნანაძის კანდიდატურის არჩევასთან დაკავშირებით.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი.

ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანიამ სხდომას გააცნო ჩატარებული კენჭისყრის შედეგები (ოქმი N3 20.11.2017 წელი), რომლის თანახმად საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე ვლადიმერ ნანაძემ

მიიღო 26 ხმა, წინააღმდეგი 1 დეპუტატი, 3 დეპუტატმა (ამირან გიგინეიშვილი, ირაკლი მარშანიშვილი, კახაბერ ასკურავა) არ მიიღო კენჭისყრაში მონაწილეობა.

მიღებულ იქნა განკარგულება N85 (20.11.2017 წელი).

საკრებულოს წევრებმა მიულოცეს საკრებულოს წევრს ვლადიმერ ნანაძეს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე არჩევა.

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების დაფუძნების შესახებ სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარემ, ლელა ჩახვაძემ აღნიშნა, რომ შემოვიდა საკრებულოს წევრების განცხადება ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს შექმნასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით ფრაქციის თავმჯდომარედ განისაზღვრა საკრებულოს წევრი ბესიკ კუპრაძე, მოადგილე- კახა ბოლქვაძე, მდივანი- ციციხო ჩხაიძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ განმარტა, რომ ფრაქციის შექმნის თაობაზე ინფორმაციას საკრებულო იღებს ცნობად კენჭისყრის გარეშე და ფრაქცია ამ მომენტიდან ითვლება რეგისტრირებულად

დღის წესრიგის მერვე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ წევრებმა გოგი მორჩილაძემ, გოდერძი ქურიძემ, გიორგი ჩახვაძემ, აკაკი იმნაიშვილმა, ელისო ჭიჭინაძემ, ამირან ქანთარია, ბესიკ კუპრაძემ და გიორგი გვარჯალაძემ დაასახელეს საკრებულოს წევრის, ვერიკო კვიციანიას კანდიდატურა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ გამოაცხადა 10 წუთით შესვენება.

სხდომის გაგრძელების შემდეგ ჩატარდა ფარული კენჭისყრა მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე საკრებულოს წევრის, ვერიკო კვიციანიას კანდიდატურის არჩევასთან დაკავშირებით.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი.

ხმის დამთვლელმა დროებითმა კომისიამ სათანადო პროცედურის ჩატარების შემდეგ სხდომას გააცნო ფარული კენჭისყრის შედეგები საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ, რომლის თანახმად დეპუტატმა ვერიკო კვიციანიამ მიიღო 26 ხმა, წინააღმდეგი 1 დეპუტატი, 3 დეპუტატმა (ამირან გიგინეიშვილი, ირაკლი მარშანიშვილი, კახაბერ ასკურავა) არ მიიღო კენჭისყრაში მონაწილეობა.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა საკრებულოს წევრი ვერიკო კვიციანია.

მიღებულ იქნა განკარგულება N86 (20.11.2017 წელი).

დღის წესრიგის მეცხრე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ წევრებმა კარლო კვიციანიშვილმა და აკაკი იმნაიშვილმა, ასევე საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს სახელით ფრაქციის თავმჯდომარემ, ბესიკ კუპრაძემ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე წარმოადგინეს საკრებულოს წევრის, ალექსანდრე მახათაძის კანდიდატურა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ გამოაცხადა 10 წუთით შესვენება.

სხდომის გაგრძელების შემდეგ ჩატარდა ფარული კენჭისყრა მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე საკრებულოს წევრის, ალექსანდრე მახათაძის კანდიდატურის არჩევასთან დაკავშირებით.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანიშვილმა სათანადო პროცედურის ჩატარების შემდეგ სხდომას გააცნო ფარული კენჭისყრის შედეგები საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ, რომლის თანახმად დეპუტატმა ალექსანდრე მახათაძემ მიიღო 26 ხმა, წინააღმდეგი 1 დეპუტატი, 3 დეპუტატმა (ამირან გიგინეიშვილი, ირაკლი მარშანიშვილი, კახაბერ ასკურავა) არ მიიღო კენჭისყრაში მონაწილეობა.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა საკრებულოს წევრი ალექსანდრე მახათაძე.

მიღებულ იქნა განკარგულება N87 (20.11.2017 წელი).

დღის წესრიგის მეათე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ საკრებულოს წევრებმა გოგი მორჩილაძემ, კარლო კვიციანიშვილმა, აკაკი იმნაიშვილმა, ალექსანდრე მახათაძემ და საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს სახელით ფრაქციის თავმჯდომარემ, ბესიკ კუპრაძემ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე დაასახელეს საკრებულოს წევრის, გიორგი ჩახვაძის კანდიდატურა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ გამოაცხადა 10 წუთით შესვენება.

სხდომის გაგრძელების შემდეგ ჩატარდა ფარული კენჭისყრა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის

თავმჯდომარის თანამდებობაზე საკრებულოს წევრის, გიორგი ჩახვამის კანდიდატურის არჩევასთან დაკავშირებით.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანი სათანადო პროცედურის ჩატარების შემდეგ სხდომას გააცნო ფარული კენჭისყრის შედეგები საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ, რომლის თანახმად საკრებულოს წევრმა გიორგი ჩახვამემ მიიღო 26 ხმა, წინააღმდეგი 1 დეპუტატი, 3 დეპუტატმა (ამირან გიგინეიშვილი, ირაკლი მარშანიშვილი, კახაბერ ასკურავა) არ მიიღო კენჭისყრაში მონაწილეობა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა საკრებულოს წევრი **გიორგი ჩახვამე**.

მიღებულ იქნა განკარგულება N88 (20.11.2017 წელი).

დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ საკრებულოს წევრებმა გოგი მორჩილაძემ და ციცილო ჩხაიძემ, ასევე საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს სახელით ფრაქციის თავმჯდომარემ, ბესიკ კუპრაძემ საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე წარმოადგინეს საკრებულოს წევრის, გიორგი გვარჯალაძის კანდიდატურა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ გამოაცხადა 10 წუთით შესვენება.

სხდომის გაგრძელების შემდეგ ჩატარდა ფარული კენჭისყრა მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე საკრებულოს წევრის, გიორგი გვარჯალაძის კანდიდატურის არჩევასთან დაკავშირებით.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანი სათანადო პროცედურის ჩატარების შემდეგ სხდომას გააცნო ფარული კენჭისყრის შედეგები საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ, რომლის თანახმად საკრებულოს წევრმა გიორგი გვარჯალაძემ მიიღო 26 ხმა, წინააღმდეგი 1 დეპუტატი, 3 დეპუტატმა (ამირან გიგინეიშვილი, ირაკლი მარშანიშვილი, კახაბერ ასკურავა) არ მიიღო კენჭისყრაში მონაწილეობა.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა საკრებულოს წევრი, **გიორგი გვარჯალაძე**.

მიღებულ იქნა განკარგულება N89 (20.11.2017 წელი).

დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ საკრებულოს წევრებმა ცისანა ურუშაძემ და ამირან ქანთარია, ასევე საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს სახელით ფრაქციის თავმჯდომარემ, ბესიკ კუპრაძემ საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე წარმოადგინეს საკრებულოს წევრის, ელისო ჭიჭინაძის კანდიდატურა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ გამოაცხადა 10 წუთით შესვენება.

სხდომის გაგრძელების შემდეგ ჩატარდა ფარული კენჭისყრა მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე საკრებულოს წევრის, ელისო ჭიჭინაძის კანდიდატურის არჩევასთან დაკავშირებით.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანიამ სათანადო პროცედურის ჩატარების შემდეგ სხდომას გააცნო ფარული კენჭისყრის შედეგები საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ, რომლის თანახმად საკრებულოს წევრმა, ელისო ჭიჭინაძემ მიიღო 21 ხმა, წინააღმდეგი 5 დეპუტატი, 1 ბიულეტენი ცნობილ იქნა ბათილად, 3 დეპუტატმა (ამირან გიგინეიშვილი, ირაკლი მარშანიშვილი, კახაბერ ასკურავა) არ მიიღო კენჭისყრაში მონაწილეობა.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა საკრებულოს წევრი, **ელისო ჭიჭინაძე**.

მიღებულ იქნა განკარგულება N90 (20.11.2017 წელი).

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** კიდევ ერთხელ მადლობა გაუხადა საკრებულოს წევრებს და უსურვა შემდგომი წარმატებები.


მუნიციპალიტეტის მერი, **ალექსანდრე სარიშვილი** მიესალმა საკრებულოს წევრებს და უსურვა საქმიანობაში წარმატებები მუნიციპალიტეტის საკეთილდღეოდ. მან აღნიშნა, რომ მოსახლეობამ მათ დააკისრა უდიდესი პასუხისმგებლობა. ყველამ ერთად, მიუხედავად პოლიტიკური შეხედულებისა, შესაძლებლობებიდან გამომდინარე ყველაფერი უნდა გააკეთოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საკეთილდღეოდ მათი პრობლემების დროულად მოსაგვარებლად და იმედი გამოთქვა, რომ ერთობლივი

მუშაობის შედეგად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი ერთ -ერთი საუკეთესო იქნება ქვეყნის მასშტაბით.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

A handwritten signature in blue ink, consisting of several loops and a long horizontal stroke extending to the right.